სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

აიშე აიჩიჩექი[1]
19 მაისის უნივერსიტეტი
(თურქეთი)

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.09

თბილისისა და რიზეს ხალხური რწმენის შედარება (კულტურულ- ისტორიული თვალსაზრისით)

აბსტრაქტი. საზოგადოებაში მიღებული რელიგიური დებულებებისა და სწავლებების გარდა საზოგადოებაში გავრცელებულია და თაობიდან თაობას გადაეცემა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ხალხური რწმენა-წარმოდგენები, რომლებშიც ასახულია ამ ხალხების ტრადიცია, ყოფა-ზნე-ჩვეულებები და ცხოვრების ისტორია. ეს ჩვეულებები საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებაში და თაობიდან თაობას გადაეცემა. რელიგიურ სწავლებებთან ერთად ეს ჩვეულებებიც ითვლება რწმენად.

საზოგადოებები არ ივიწყებენ ჩვეულებებს, რწმენებსა და ტრადიციებს, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე. ახალი რელიგიის ან კულტურის გავრცელების დროსაც ცდილობენ ძველი ადათ-წესები, რწმენები და ტრადიციები მოარგონ ახალი რელიგიისა და კულტურის მახასიათებლებს. ხალხურ მრწამსს შეუძლია იპოვოს ადგილი ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში, დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ის ასახვას პოულობს ჩვენს სოციალურ ცხოვრებაში, რაც დამახასიათებელია მსოფლიოს ყველა ხალხისთვის.

ჩვენი კვლევა ეხება რიზესა და თბილისში შემორჩენილი ხალხური რწმენა-წარმოდგენების შედარებით ანალიზს. დაკვირვების შედეგად მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ რიზესა და თბილისში ადამიანები დიდ პატივს სცემენ და აფასებენ ძველ ხალხურ ჩვეულებებს და ტრადიციებს. ორივე რეგიონის სოციალური სტრუქტურა ინარჩუნებს თავის მახასიათებლებს რწმენისა და ჩვეულებების კონტექსტში. მოსახლეობის დიდი ნაწილი რელიგიის ერთგულია, მიუხედავად ამისა, იგრძნობა განსაკუთრებული დამოკიდებულება ხალხური რწმენის მიმართ, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორია. რიზესა და თბილისის ყოფით ცხოვრებაში არის

[1] **აიშე აიჩიჩქი,** 19 მაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი (სამსუნი, თურქეთი). ORCID: 0000-0002-7308-1695

უამრავი მსგავსი რწმენა, ტრადიცია და ჩვეულება, რომელიც ორი მეზობელი ერის - ქართველებისა და თურქების საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ ისტორიული თანაცხოვრების შედეგია.

საკვანძო სიტყვები: რიზე, თბილისი, ხალხური რწმენა, ჩვეულება, ტრადიცია, შედარებითი ანალიზი, ისტორიული თანაცხოვრება.

Ayşe Ayçiçek[2]
19th of May University (Turkey)

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.09

Comparison of folk beliefs of Tbilisi and Rize (from a cultural-historical point of view)

Abstract. In addition to the religious provisions and teachings accepted in the society, folk beliefs formed over the centuries are spread among people and passed from generation to generation - ideas that reflect the tradition, existence, customs and life history of these peoples. These customs are quite widespread in society and are passed down from generation to generation. Along with religious teachings, these practices are considered beliefs.

Communities do not forget the customs, beliefs and traditions that greatly influence their lives. Even with the spread of a new religion or culture, old customs, beliefs and traditions try to adapt to the characteristics of the new religion and culture. Folk beliefs can find a place in all aspects of our life, from birth to technical development of our social life and marriage, better to say it continues till death and finds reflection in our social life, it is characteristic of all peoples of the world.

Our study deals with the comparative analysis of the folk beliefs and ideas preserved in Rize and Tbilisi. As a result of observation, data analysis shows that people in Rize and Tbilisi highly respect and value folk customs and traditions. In both regions, the social structure retains its characteristics in the context of beliefs and customs. A large part of the population is faithful to religion, nevertheless, a special attitude towards folk beliefs is felt, which is a determining factor in everyday life. No matter how modern the societies, folk beliefs are widely found in the life of Rize and Tbilisi - there are many similar traditions and customs, which are the result of the historical coexistence of two neighboring nations - Georgians and Turks for centuries.

Key words: Rize, Tbilisi, folk belief, custom, tradition, comparative analysis, historical coexistence.

---

[2] **Ayşe Ayçiçek,** Phd student of May 19 University (Samsun, Turkey).

ძირითადი კვლევა. ხალხური რწმენა განისაზღვრება, როგორც რწმენა, რომელიც გამორიცხულია საზოგადოების მიერ მიღებული რელიგიების სწავლებებიდან, მაგრამ მათ დიდი ადგილი უკავიათ ხალხში და მათ მომავალ თაობებს გადასცემენ (კილიჩი, 2001: 415; არტუნი, 2008: 271). კალაფატის თანახმად, ხალხური რწმენები არ განიხილება რელიგიისგან დამოუკიდებლად. ეს არის არსებული რელიგიების ანარეკლი საზოგადოებაში ან ხალხის მიერ რელიგიების გამოყენების სტილი. ეს სიტუაცია მოიცავს არა მხოლოდ არსებული რელიგიების, არამედ არარსებული რელიგიების გავლენასაც (კალაფატი, 2006: 261-264). კაცობრიობის არსებობიდან მოყოლებული, ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ რწმენის საჭიროება. რწმენის წყაროს კი ღვთიური რელიგიები წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში, ღვთიური რელიგიების დებულებებისა და სწავლებების გარდა, ზოგიერთმა რწმენამ დაიწყო ჩამოყალიბება ხალხში და შემდეგ ხალხური რწმენის სახელი მიიღო. ხალხური მრწამსი, რომელიც არ შეიცავს მკაცრ მახასიათებლებს და ასევე რელიგიურ წესებს, განსხვავდებოდა სხვადასხვა რეგიონში და ერში, რადგან დროსთან ერთად იცვლებოდა (ირმაკი, 2018: 191).

ქართველების ძველი რწმენის თანახმად, მთელი ბუნება პერსონალიზებული იყო. ადამიანურ თვისებებს მიაწერდნენ მცენარეებს, ცხოველებს, ბუნებრივ მოვლენებს. თაყვანისცემა, აღთქმა ან ლოცვა იმ რწმენით, რომ ბუნებრივმა მოვლენებმა და ძალებმა შეიძლება სიკეთე ან ბოროტება მოუტანონ ხალხს, უფრო ღრმა რწმენას აღვივებდა მათში. ქართველთა ღვთაებრივი სისტემის სათავეში, ყველაფრის შემქმნელი იყო ღმერთი. ხოლო ერთი საფეხურის ქვევით მრავალი ღვთაება იდებდა ადგილს. ხეებს, ყვავილებს, სახლებს, ოჯახებს, მთებს და ა. შ. ყველას თავისი ღმერთი ჰყავდა. ყველაზე დიდი პატივისცემით კი ციური ობიექტები (მზე, მთვარე და ვარსკვლავები) სარგებლობდნენ. ციური სხეულების პატივისცემა კვირის დღეებიდანაც კი ჩანს. ძველ ქართულში კვირა დღე „მზის დღედ“ იწოდება, ხოლო ორშაბათი „მთვარის დღედ“. გადმოცემის თანახმად მზე ქალად, მთვარე მამაკაცად, ხოლო ვარსკვლავები კი მათ შვილებად იწოდებოდნენ. მზე და მთვარე ზოგიერთ გადმოცემაში და-ძმად, ზოგიერთში ცოლ-ქმრად, ზოგიერთშიც კი დედა-შვილად იხსენიებოდნენ (ჯავახიშვილი, 1943: 82-85).

ქართველებში მზე, როგორც ღმერთი მათი სოფლის მეურნეობისადმი მიჯაჭვულობას გამოხატავდა. ქართველებისათვის სოფლის მეურნეობის ნაწილები, როგორიცა: ხილი, მცენარე, ბოსტნეული, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად ცხენს ქართველები მზისთვის მსხვერპლშესაწირად იყენებდნენ (ჯავახიშვილი, 1943: 85).

გოკ თენგრი თურქების ძველი რწმენის ცენტრშია. დამხმარე და დამცავი სულები, ბოროტი სულები და წინაპრები მისი დამხმარე სულებია. თურქების ცხოვრებაში არიან შამანები, რომლებიც შუამავლობენ ადამიანის

სიცოცხლესა და საგანგებო ძალაუფლების მქონე არსებებს შორის. ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში შამანები მრავალ ფუნქციას ასრულებდნენ, როგორიცაა რელიგიური ავტორიტეტი და სულებს შორის შუამავლობა. თურქები თანხმდებიან, რომ ყველა არსებას აქვს სული. მათ სჯერათ, რომ კარგი და ცუდი საქმეები ამ სულებს მოაქვთ. აქედან გამომდინარე ისინი ცდილობენ, რომ ეს სულები არ გააბრაზონ და მათი დახმარება მოიპოვონ. ამიტომ ისინი თანგრისა და თავისი სულებისთვის მსხვერპლშეწირვას და სხვადასხვა რიტუალებს ახორციელებდნენ (ინანი, 1987: 245, 415-418).

რიზეში შთამომავლობის გამგრძელებლად მამაკაცები ითვლებოდნენ, მაგრამ იმ ოჯახებს, რომლებსაც არ ჰყავდათ ვაჟიშვილი, ისინი საზოგადოებისთვის უცნაურობას წარმოადგენდნენ. როდესაც ქალს შეეძინებოდა მამრობითი სქესის შვილი, საზოგადოების თვალში ის უკვე ოჯახის შემქმნელ ქალად იყო მიჩნეული. როდესაც ბიჭები იბადებოდნენ, ჰეკიკეს/აკიკას[3] მიხედვით, ალაჰის წყალობისთვის მსხვერპლშეწირვა ხდებოდა. როგორც რიზეს რეგიონში ფიქრობენ ამ მადლიერების მსხვერპლშეწირვისგან შეიძლება გავიგოთ, რომ ღმერთი არის უმაღლესი რანგი და მისთვის ყველაფრის თხოვნაა შესაძლებელი. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართველებისთვის ყველაფერზე მაღლა ღმერთის არსებობაა მიღებული.

ქართველები უძველესი დროიდან განწმენდნენ და თაყვანს სცემდნენ ტყეებს, ხეებს, მთის მწვერვალებს, ქვებს. ხეებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მუხის, ცაცხვის, ფიჭვისა და ნაძვის ხეებს. ხეები, რომლებიც კერპებად განიხილებოდა, სხვა ხეებისგან მოშორებით იდგა და მათ არაერთ მსხვერპლსა თუ საჩუქარს სწირავდნენ. სავარაუდოდ, ხის კულტი დამოკიდებულია სიცოცხლის ხეზე და პროდუქტიულობის რწმენაზე. ხე სახელწოდებით „ჩიჩილაკი“, რომელიც დასავლეთ საქართველოში ახალი წლის

[3] ახალშობილი ბავშვის თმას აკიკა ჰქვია. ვაჟიშვილის ბოძებისთვის ღმერთს მადლობის ნიშნად მსხვერპლს სწირავდნენ, ამ მსხვერპლს კი აკიკა ეწოდებოდა. უმეცრების ხანაში არაბებს არ სურდათ გოგონები, ისინი გოგონებს ცოცხლად მარხავდნენ, მაგრამ ჩვენი წინასწარმეტყველი მსხვერპლს სწირავდა, როგორც გოგონებისთვის, ასევე ვაჟებისთვისაც. აკიკა ყოვლისშემძლე და ლამაზი იყო. აკიკას მსხვერპლის დაკვლა შესაძლებელია ბავშვის დაბადების დღიდან, სანამ ის სქესობრივ მომწიფებამდე მიაღწევს. ცხოველები, რომლებიც შესაწირავისთვის შესაფერისები იყვნენ, აკიკასთვისაც მისაღები იყო. სასურველია მსხვერპლშეწირვის რიტუალის მეშვიდე დღეს განხორციელება, ასევე დღესასწაულის მოწყობა და ბავშვის თმის გაპარსვაც ამავე დღეს ხორციელდება. აკიკას მსხვერპლის ძვლები სახსრებიდან მხოლოდ ორ ნაწილად იყოფა და ისე იხარშება, მათ სჯეროდან, რომ ეს მეთოდი ახალშობილს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას მოუტანდა. ამის გაკეთება დასაშვები იყო. მეორეს მხრივ, აუცილებელია ძვლების გატეხვა იმის ნიშნად, რომ ბავშვი თავმდაბალია და დაცულია მავნე ჩვევებისგან. მესაკუთრეს შეეძლო აკიკას მსხვერპლის ხორცის ჭამა, სხვებისთვის მიცემა და მოწყალება (ბილმენი, 1990: 421-422; სენტურკი-იაზიჯი, 2001: 330-331).

ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტია, პროდუქტიულობის რწმენის ამჟამინდელი ასახვაა. „ჩიჩილაკი“ არის საზეიმო ატრიბუტი, რომელიც მზადდება თხილის ტოტისგან და ის უნდა იყოს ყველა ქართველის სახლში (თოფჩიშვილი, 2010: 392; ბარდაველიძე 1974: 10; მაკალათია, 1927: 35; მაკალათია, 1927: 37-42).

ქართულ ხალხურ რწმენაში ფასდება ისეთი კულტები, როგორიცაა ცხენი, ირემი, ძაღლი, მგელი, ხარი, გველი და თევზი. ცხოველთა კულტი დაკავშირებულია ნაყოფიერების ქალღმერთთან და თითოეულ ცხოველს ჰყავს თავისი ქალღმერთი. გარდა ამისა, არსებობს რწმენა-წარმოდგენები ფრინველების შესახებაც. ერთ-ერთი მათგანია მამალი. მამალი დაკავშირებულია ცასთან, მზესთან და ცნობილია როგორც მზის ჩიტი. მამლის მზის ფრინველად ჩათვლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია ის, რომ ის დილით ყივის. ეს რწმენა მამლის შესახებ არსებობს არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელს საქართველოში. ასევე გავრცელებული იყო მამლის მსხვერპლად შეწირვაც. მამლების მსგავსად ღირებული სხვა ცხოველები არიან მგლები და ძაღლები. ძველი ქართული რწმენის თანახმად, მგელს და ძაღლს ერთი სული ჰქონდათ. ძაღლისა და ძაღლის მსგავსი მგლის ფიგურები ბევრგან გვხვდება. რეგიონში თევზისა და კალმახის შესახებ მრავალი რწმენა არსებობს. ყველა ეს ცხოველი და ფრინველი დაკავშირებულია ნაყოფიერების ქალღმერთთან, რომელიც ცხოველებს იცავს (თოფჩიშვილი, 2010: 392-398; რუხაძე, 1968: 68-74).

ქართული რწმენის თანახმად, ზოგიერთ ცხოველს შეუძლია სი-კვდილის გარდაუვალი ნიშანის მიცემა. ძაღლების მუდმივი ყმუილი ნიშნავს სიკვდილის მოახლოებას. ამ შემთხვევაში ისინი კლავდნენ ძაღლებს სიკვდილის თავიდან ასაცილებლად. მრავალი ერის რწმენით, ძაღლი არის ამ სამყაროს და შემდგომი ცხოვრების მესაზღვრე. ფსიქოპომპოსი მოიხსენიება, როგორც სულთა სახელმძღვანელოდ, რომელიც იმქვეყნიურ ცხოვრებაში შესასვლელად გამოიყენებოდა. ეგვიპტური მითოლოგიის მიხედვით შემდგომი სიცოცხლის მცველები ანუბისები იყვნენ, ხოლო ბერძნული მითოლოგიის მიხედვით სერბერუსები. გარდა ამისა, ძაღლები ითვლებიან ისეთ ცხოველებად, რომლებსაც სულების დანახვისა და ადამიანისთვის საშიშროების არიდება შეეძლოთ (Bregadze, 102: 29). რიზეს რეგიონში ზოგი ცხოველი სიკვდილის მაუწყებელად იყო მიჩნეული. ბუ, რომელიც რომელიმე სახლის წინ სამჯერ მკაცრი ხმით იჭიკჭიკებდა, იმ სახლის რომელიმე მცხოვრები გარდაიცვლებოდა (კალაფატი, 2012: 71). ხალხი ასეთ დროს ან მის განდევნას ან მოკვლას ცდილობდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ თუ შეძლებდნენ მის მოკვლას, სიკვდილს თავიდან აიცილებდნენ. ასევე, თუ რომელიმე ძაღლი მგელსავით რომელიმე სახლის წინ იყმუვლებდა, იმ სახლის ერთ-ერთი მაცხოვრებელი მოკვდებოდა. ძაღლის ყმუილი იმის მანიშნებელი იყო, რომ ის ცუდ სულებს ხედავდა, მაგრამ ყეველა ძაღლს არ ჰქონდა ცუდი სულების დანახვის

უნარი. იმ ძაღლებს, რომლებსაც შუბლზე ორი ხალი ჰქონდათ, შეეძლოთ ცუდი სულების დანახვა და შემდეგ ყმუილი (კალაფატი, 1999: 102- 108). ლიპარდად და ფარდად წოდებული მგლის ყმუილი სიკვდილის მომასწავლებელი იყო (კაბატაში, 2006: 70).

ხალხური რწმენით, თუ ბაყაყს მოკლავ, იწვიმებს. ბაყაყი წვიმის სიმბოლოდაა მიჩნეული. ბაყაყი ასოცირდება პროდუქტიულობასთან და წვიმასთან. ის ითვლება ძალად, რომელსაც შეუძლია მოავლინოს წვიმა. ამავე დროს, წვიმა პროდუქტიულობის სიმბოლოა. ჩინეთში მრავალი რიტუალი სრულდება ბაყაყის ფორმის ხატის დასახატად და წვიმის მოსატანად (ბრეგაძე, 2012: 30). ბავშვები გამოიყენებდნენ წყლის სათლს, რომელშიც ბაყაყი იყო, ისინი დადიოდნენ და საჭმელს აგროვებდნენ. ეს პროცესი წვიმის მოვლენის მიზნით ხორციელდებოდა (ბორათავი, 1984: 141). რიზესა და მის რეგიონში საღამოს ბაყაყების ხანგრძლივი ხმაური წვიმის მოსვლას ნიშნავდა.

საქართველოში ბოროტი თვალის შესახებ მრავალი პრაქტიკა არსებობს. ბოროტი თვალისგან დასაცავად არსებობს ხეზე ან ხისგან დამზადებულ საგნებზე დარტყმის რწმენა, რაც ქართველებში ძალიან გავრცელებულია. ეს რწმენა წარმართობისგანაა შემორჩენილი. წარმართებს სჯეროდათ, რომ კარგი სულები ხეებში ცხოვრობდნენ. მათ სჯეროდათ, რომ როდესაც საფრთხის დროს ხეს ურტყამდნენ, კარგი სულები მათ დაიცავდნენ (ბრეგაძე, 2012: 42).

მეორეს მხრივ, ქართველები ბოროტი თვალისგან დასაცავად იყენებენ ქარვის ქვას, ქვანახშირის და რკინის ნივთებს. ფიქრობენ, რომ ამ ნივთებს აქვთ ძალა, დაიცვან ხალხი ბოროტი სულებისგან. ითვლება, რომ ქარვის ქვა თუ გაბზარულია ან გატეხილი, ე. ი. მან ბოროტი თვალისგან დაიცვა ადამიანი. ცუდი თვალი უმეტესად დაზარალებულ ქალებსა და ჩვილებს აწუხებდათ. ბოროტი სულები უფრო მეტ ძალას აჩვენებენ ღამის საათებში, ამიტომ არ არის სწორი ღამით ბავშვის გაყვანა და ღამით ბავშვის ტანსაცმლის დატოვება. საღამოს, როდესაც გარეთ გასვლა სჭირდებოდათ, თან ნახშირს ან დანას წაიღებდნენ და სჯეროდათ, რომ ეს ბოროტი თვალისგან დაიცავდა. იმავე მიზეზით ისინი ბავშვს ლეიბის ქვეშ უდებდნენ დანას. დანა მიზნად ისახავდა ბოროტი სულის შეშინებას, ისე რომ, ბოროტი სულები ვერ მიუახლოვდნენ ბავშვს (ბრეგაძე, 2012: 60).

თბილისსა და რიზეში ბოროტი თვალის შესახებ არსებული მოსაზრება შემდეგნაირია: როდესაც თბილისში ადამიანისგან ცუდ ენერგიას იღებთ, აუცილებელია შემდეგი სიტყვების თქმა: „შენი თვალიმც ეცემის ყვავის ფრთის ქვეშ“. შემდეგ ქვას ფეხი უნდა დაარტყა და ხელებით გადააბრუნო. რიზეში კი ამბობენ: „ღმერთმა დაგლოცოთ ბოროტი თვალებისგან“. თვალნაცემ ადამიანებს ლოცვებს უკითხავდნენ და ეს ლოცვები ადამიანების ყველაზე დიდ დამცველად იყო მიჩნეული. რიზეში შეხვდებით ისეთ ლოცვებს, რომლებიც თვალნაცემობის დროს იკითხებოდა (ჩეპნი, 1996: 34).

ითვლება, რომ თბილისში ოლთუს ქვა ადამიანებს იცავს ბოროტი თვალისგან. თუ ოლთუს ქვა გაიბზარება, ეს იმის ნიშანია, რომ თვალი ეცა. რიზეში იყენებენ ბოროტი თვალის მძივებს, რათა დაიცვან ისინი ბოროტი სულებისგან (ჩეპნი, 1996: 34).

თბილისში სახლის შესასვლელ კარებზე ცხენის ან პერფორირებული ქვების ჩამოკიდება ხდება ცუდი თვალებისგან დასაცავად. რიზეში, იმავე მიზნით, მათი სახლების შესასვლელ კარებზე სიტყვა მაშალაა ამოტვიფრული. გარდა ამისა, ძროხის თავის ჩონჩხს ან უბრალოდ რქებს კიდებდნენ (ჩეპნი, 1996: 33).

თბილისში ამულეტები და თილისმები კიდევ ერთი გზაა თვალისგან თავდასაცავად. რიზეში ბოროტი თვალის ამულეტი იწერებოდა მეჩეთში ახალშობილი ბავშვებისთვის, რომელსაც ბავშვის საწოლს ან ტანსაცმელს გამოაბამდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ამულეტები მოზრდილებისთვისაც იწერებოდა (ჩეპნი, 1996: 33). ამულეტების წერა უფრო ხშირად გვხვდება ქალთა საზოგადოებაში. ამულეტები შემდეგნაირია: ბოროტი თვალისგან დაცული ამულეტები, ჯადოსნური ამულეტები, სავალდებულო ამულეტები, დაავადებებისგან დასაცავი ამულეტები, ველური ცხოველებისგან დასაცავი ამულეტები, დაკარგული ნივთების პოვნის ამულეტები, ორი ადამიანის დაქორწინების ან დაშორების ამულეტები, ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ შექმნილი ამულეტები, ვინც ვერ იქორწინებს ან ბავშვებისთვის დამზადებული ამულეტები და ა. შ. (ჩეპნი, 1996: 40). რიზეში, როდესაც ბავშვი იბადებოდა, ბოროტი სულებისგან დასაცავად ამულეტების დაწერის შემთხვევებსაც ვხვდებით.

თბილისში ბოროტი თვალისგან დასაცავად თილისმებს ტანისამოსის ქვეშ ატარებდნენ. რიზეს რეგიონში ხალხი ხელით ნაწერ ამულეტებს ტანსაცმელზე, პატარძლის ტანისამოსზე ან აკვნებში ინახავდნენ. ამულეტების და თილისმების გამოყენება ნიშნავდა უბედურებისგან და კატასტროფებისაგან თავის დაცვას. თბილისში უბედურებისგან და ბოროტი სულებისგან თავდასაცავად სამჯერ აკაკუნებდნენ კედელზე. ხოლო რიზეში შიშის შემდეგ აკაკუნებდნენ სამჯერ ხის ზედაპირზე.

ქრისტეშობამდე ორშაბათი დღე საქართველოში სადღესასწაულო იყო. უძველესი რწმენის თანახმად, ორშაბათს ყველა სახის სამუშაოს შესრულება ზიანს აყენებდა ოჯახს, რადგან ამ დღეს მთვარე თავის ძალასა და ბოროტებას გამოაჩენდა. ასევე დიდი დღესასწაული იყო ხუთშაბათი. ეს იყო აფროდიტეს (ვენერა) დღე და მხოლოდ მჭედლებს შეეძლოთ მუშაობა (ბრეგაძე, 2012: 42).

რიზეს ჩაიელის რაიონში სამშაბათთან და პარასკევთან დაკავშირებით არსებობს გარკველი რწმენა-წარმოდგენები. ისინი სამშაბათს ავის მომასწავებლად მიიჩნევდნენ. ამრიგად, ამ დღეს მნიშვნელოვანი სამუშაოები არ ხორციელდებოდა, ასევე ზრუნავდნენ, რომ არ დაორსულებულიყვნენ,

რადგან ბავშვი სისხლის მღვრელი იქნებოდა. პარასკევი კარგ დღედ ითვლებოდა. თუ ბავშვი პარასკევს დაიბადებოდა, ან ამ დღეს ვინმე გარდაიცლებოდა, მისასალმებელი იყო (ჩეპნი, 1996: 36). პარასკევ საღამოს ლოცვები იკითხებოდა, რადგან ითვლებოდა, რომ გარდაცვლილთა სულები მათ სახლში მოვიდოდნენ (კაბატაში, 2006: 83). რიზეს ჰამშენის რეგიონში ქორწილები ორშაბათს ან პარასკევს ტარდებოდა (კაბატაში, 2006: 55).

ძველი რწმენით, 7 მაისის წვიმა ნაყოფიერი იყო. 7 მაისს მოსული წვიმა კარგი იყო ყველა სახის მცენარისთვის, ასევე, თმის ზრდისთვისაც სასარგებლოდ იყო მიჩნეული. ამიტომ ქალები 7 მაისის წვიმაში სანამ მთლიანად არ დასველდებოდნენ გარეთ იდგნენ (ბრეგაძე, 2012: 35).

რიზეში კი აპრილის თვეში კანარის ჩიტის ჭიკჭიკთან ერთად ხვნა-თესვა იწყებოდა. ვინც კანარის ჩიტის ჭიკჭიკს მშიერ კუჭზე გაიგებდა, ის მთელი წლის განმავლობაში წარუმატებელი იქნებოდა, თუ მაძღარზე მოისმენდნენ, მაშინ მთელი წელი წარმატებულად და ჯანმრთელად ჩაივლიდა. ამ შემთხვევაში კანარის ჩიტი დამარცხებულად ჩაითვლებოდა (აიჩიჩქი, 2016: 70). გარდა ამისა, იმის რწმენით, რომ აგვისტოს პირველი წვიმა კარგია მრავალი კანის დაავადებისთვის, პირველი წვიმის დროს ადამიანები მთლიანად სველდებოდნენ. ასევე ითვლება, რომ რიზეში 9 მარტისა და 5 აპრილის დღეები უბედურების მომასწავებელი იყო. წლების განმავლობაში ეს ცუდი იღბალი გადადიოდა ენიდან ენაზე: „ნუ შეგეშინდებათ ცხრა მარტის, შეგეშინდეთ ხუთი აპრილის, შიშით ზამთრის ზამთრისა, შეგეშინდეთ ხუთი აპრილის“. ეს დღეები საშინლად ითვლებოდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ დიდი თოვლი მოვიდოდა. 9 მარტს მოსული დიდი თოვლი გამოწვეული იყო პლატოზე მიგრაციის თავიდან აცილებით, ხოლო 5 აპრილის თოვლის მოსვლა ნიშნავდა მოსავლის დაზიანებას და საარსებო წყაროს მოსპობას (ჩეპნი, 1996: 68).

თბილისში სჯეროდათ, რომ ანგელოზები ციდან მოვიდნენ ამქვეყნად. მათი აზრით, ღმერთი ანგელოზებს აგზავნის სხვადასხვა დავალების შესასრულებლად. როდესაც სოფლელები დუმდნენ, მათ სჯეროდათ, რომ მათ სახლში ანგელოზები მოვიდნენ. ასე რომ, როდესაც სახლში ყველა ჩუმად იყო, ანგელოზები მოვიდნენო, ამბობდნენ (ბრეგაძე, 2012: 35). რიზეს რეგიონში თუ სახლში ყველა დუმდა, ეს ნიშნავდა, რომ ბავშვი დაიბადა.

გარდა ამისა, უამრავი გავრცელებული ხალხური რწმენა გვხვდება როგორც ქართველებში, ასევე თურქებში. თბილისში სჯეროდათ, რომ ფულის შოვნის ნიშანი იყო მარცხენა ხელის ქავილი, რიზეში კი - მარჯვენა ხელის; ასევე სჯეროდათ, რომ მარცხენა ფეხზე ადგომის დროს მთელი დღე წარუმატებელი იქნებოდა; თვალის ხამხამის შედეგად ვიღაც კვდებოდა; თბილისში ჭამის დროს კოვზის, დანის, ჩანგლის ან პურის იატაკზე დავარდნა სტუმრის მოსვლის მაუწყებელი იყო, რიზეში კი თუ პური იატაკზე დაეცემოდა, სჯეროდათ, რომ ერთ-ერთი ოჯახი შიმშილობდა; ასევე ითვლებოდა, რომ თბილისში პურის *დაჭერას* სიღარიბე მოჰქონდა, ხოლო რიზეში პურის

დაჭრა ცოდვის გამრავლებას ნიშნავდა; თბილისში სჯეროდათ, რომ ნემსის ხელიდან ხელში მიცემა კამათს გამოიწვევდა, რიზეში მაკრატლის მიცემა ორი ადამიანის კამათს მოასწავლებდა; თმის ცვენა ავის მომასწაველებლად იყო მიჩნეული; თუ ოჯახში არეულობა იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ერთ-ერთი ოჯახის წევრი დაავადდებოდა, პრობლემების გადასაჭრელად საავადმყოფოში ან სალოცავში მსხვერპლს სწირავდნენ; როცა ვინმეს ასლოკინებდა, ამბობდნენ, რომ ვიღაც შენზე საუბრობდა; შავი კატა უბედურების მომტანადაა მიჩნეული; თუ ადამიანს მუხლების ტკივილი აწუხებდა, ეს წვიმის მომასწავებელი იყო; ასევე თუ ადამიანი სახლში მარჯვენა ფეხით შევიდოდა, ეს კარგის მომასწავებელი იყო; თუ ვინმეს სახლში პირველად რჩებოდა ადამიანი, იმ ღამეს ბალიშის ქვეშ სავარცხელს, გასაღებს ან მსგავს ნივთს თუ დაიდებდა, სიზმარში საკუთარ საბედოს ნახავდა, ეს ცრუ რწმენა თბილისშიც და რიზეშიც გვხვდება.

დასკვნები

ხალხური რწმენა, როგორც განსხვავებულ ერთა ცხოვრების სტილის გამოხატულება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გადაეცემა თაობებს, ზეპირი კულტურული ღირებულების სახით, ყოველდღიური ცხოვრების ყველა ეტაპზე წარმოჩნდება ჩვენს წინაშე. ამგვარი შეხედულებები, რომლებიც ყალიბდება ერების რწმენისა თუ გამოცდილებების საფუძველზე, ყველა ხალხში განსხვავებული ფორმით ვლინდება. ხალხთა გარკვეული წარმოდგენები ასევე ეფუძნება მათივე კულტურას, რწმენასა და ცხოვრების წესს. ამასთანავე, მეზობელ ერებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ამგვარ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ, ისტორიულად ქართველებსა და თურქებს შორის მეზობლური ურთიერთობების არსებობამ, მათი ხალხური წარმოდგენების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ამგვარი ურთიერთობების შედეგად ორ ერს შორის ადგილი ჰქონდა კულტურულ ურთიერთგაცვლას.

თბილისისა და რიზეს კულტურული ველების შეფასების შემდეგ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ მრავალი ხალხური წარმოდგენა ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთგაცვლის შედეგად ერთმანეთის იდენტურია. ჩვენ განსაკუთრებით შევჩერდით იდენტურ ხალხურ წარმოდგენებზე. ამასთანავე, ამ ტიპის წარმოდგენები არ არის შემონახული თბილისისა და რიზეს ყველა კუთხეში ან პრაქტიკულად სახეზეა რეგიონული განსხვავებები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მრავალი ისეთი ხალხური წარმოდგენა, როგორიცაა ძაღლის ყმუილი და ბუს კივილი, რაც აღიქმება როგორც ავის მომასწავლებელი ნიშანი, ბოროტი თვალი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრაქტიკა, დღეებსა და თვეებთან დაკავშირებული წარმოდგენები და თილისმის რწმენა, ერთმანეთის იდენტურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

არტუნი, ე. (2008). თურქული ფოლკლორი. სტამბოლი. „წიგნის მაღაზიათა პუბლიკაციები“;

აიჩიჩქი, ა. (2016). ყიფჩაკის კვალი რიზეში. (გამოუქვეყნებელი სამაგისტრო ნაშრომი), 19 მაისის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი. სამსუნი;

ბარდაველიძე, ვ. (1974). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. თბილისი. „ფშავი“;

ბილმენი, N. (1990). დიდი ისლამური ილმიჰალი. სტამბოლი. „ბილმენის პრესა და გამომცემლობა“;

ბორათავი, პ. ნ. (1984). თურქული ფოლკლორი 100 კითხვაში. სტამბოლი. „რეალური გამომცემლობა“;

ბრეგაძე, ლ. (2012). ყოველდღე ხალხური რწმენა. თბილისი. „არტანუჯი“;

ჩეპნი, რ. (1996). ხალხური მრწამსის გავლენა კაიელის რეგიონში არსებულ ინდივიდებზე. (გამოუქვეყნებელი სამაგისტრო ნაშრომი). ათათურქის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი. ერზრუმი;

ჯავახიშვილი, ივ. (1943). საქართველოს ისტორია. თბილისი. „საქართველო ს. ს. რ. რესპუბლიკა პუბლიკაციები“;

ირმაკი, ი. (2018). ბინგოლის ხალხური რწმენა და პრაქტიკა. ენისა და ლიტერატურის შესწავლა. (17), 191-222;

ინანი, (1987). ეგზოგამიის კვალი თურქულ ქორწილებში. სტატიები და მიმოხილვები - I. ანკარა;

კაბატაში, ფ. (2006). გავრცელებული ხალხური რწმენა რიზეს გარშემო და მის გარშემო. (გამოუქვეყნებელი სამაგისტრო ნაშრომი). ფირატის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი. ელაზიგი;

კალაფატი, ი. (2006). თურქული ხალხური მრწამსი ბალკანეთიდან ულუმ თურქეთისკენ V-VI. ანკარა. „ბერიკანი“;

კალაფატი, ი. (2012). აზერბაიჯანი-ირანი-ანატოლია-ერაყი პოპულარული რწმენის ხაზი. ანკარა. „ბერიკანი“;

კალაფატი, ი. (1999). ალტაის კამიზმის კვალი ანატოლიის თურქულ ხალხურ რწმენაში. კამიზმი ალტაიდან ანატოლიამდე. ოქტომბერი-ნოემბერი. (2), 102-108;

კილიჩი, ა. (2001). ისპართა რეგიონის ხალხური რწმენა. ანატოლიის რწმენათა საერთაშორისო კონგრესი. 2000 წლის 23-28 ოქტომბერი /ნევშეჰირი, ანკარა. დოკუმენტის პუბლიკაციები;

რუხაძე, χ. (1968).ზოგიერთი აგრარული წეს-ჩვეულება XIX საუკუნის დასავ-ლეთ საქართველოში.მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, ტომი, XVI, თბილისი.

სენტურკი, ლ.- იაზიχი, ს. (2001). რელიგიური ისლამი ილმიჰალი. ანკარა. „თურქეთის ისტორიული საზოგადოების პუბლიკაციები“;

ტოგანი, ზ. ვ. (1982). ოღუზის ეპოსი: Reşideddin Oğuzname. თარგმანი და ანა-ლიზი. სტამბული. წიგნის მაღაზია „ენდერუნი“;

თოფჩიშვილი, რ. (2010). საქართველოს ეთნოგრაფია /ეთნოლოგია (საქართ-ველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია). თბილისი. „უნივერსალი“.

ეთნოგრაფიული ინფორმაციის ავტორები:

ეკატერინე ახვლედიანი, დაბადებული 1972 წ., უმაღლესი განათლებით, თბილისი.

მიხეილ ბახტაძე, დაბადებული 1967 წ., ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისი.

გვანცა ბურდული, დაბადებული 1986 წ., ისტორიის დოქტორი, თბილისი.

ნინო დოლიძე, დაბადებული 1976 წ., უმაღლესი განათლებით, თბილისი.

ნინო ვახანია, დაბადებული 1963 წ., ფილოლოგიის დოქტორი, თბილისი.

კახა კვაშილავა, დაბადებული 1974 წ., ისტორიის დოქტორი, თბილისი.

ბონდო კუპატაძე,. დაბადებული 1974 წ., ისტორიის დოქტორი, თბილისი.

თამარ ლეკვეიშვილი, დაბადებული 1982 წ., უმაღლესი განათლებით, თბი-ლისი.

მაია მიქაუტაძე, დაბადებული 1971 წ., უმაღლესი განათლებით, თბილისი.

ზურაბ პაპასქირი, დაბადებული, 1950 წ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისი.

შორენა ტარუღიშვილი, უმაღლესი განათლებით, თბილისი.

თეა ქართველიშვილი, დაბადებული 1975წ.,ისტორიის დოქტორი, თბილისი.

ლიკა ქორიძე, დაბადებული 1983 წ., უმაღლესი განათლებით, თბილისი.

მირიან ხოსიტაშვილი, დაბადებული 1985წ.,ისტორიის დოქტორი, თბილისი.

ოთარ χანელიძე, დაბადებული 1954 წ., ისტორიის დოქტორი, თბილისი.